



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2795 2015 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

„კომპანია Microsoft-ის ოფიციალური წარმომადგენლისგან კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) შესყიდვის განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „კომპანია Microsoft-ის ოფიციალური წარმომადგენლისგან კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) შესყიდვის განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №38 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიების შესყიდვისათვის მეორე ეტაპზე გადასახდელი თანხის ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს გამოუყოს 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი



ირაკლი ღარიბაშვილი